წელიწადი მე-2 | ტელეფონი № 76. | პარასკევი, 18 ნოემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონის პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათ. შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში

№ 488 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 488

სახალხო წარმოდგენა

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 20.

შაბათი, 19 ნოემბერი 1916 წ.

ლ. ანდრეევი.

**დღენი ჩვენის ცხოვრებისა**

4 მოქმ. თარგმ. ა. იმედაშვილისა

მონაწილენი: ქ-ნი ბექანიშვილი ს., მდივანი მ., დოლოპერიძე ო., ჩხეიძე ან., ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., გუგუშვილი ალ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ.,

რეჟისორი ალ. იმედაშვილი, თანაშ. ა. გუგუშვილი. ადგილების ფასი დაკლებულია

მორიგე წევრი გამგეობისა ა. ფაღავა

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე

მოქმედების დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება.

---

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 14 ნოემბრიდან

**რუსის ჯარი საფრანგეთში** სამხედრო სურათი ნამდვილიდან.

**ბედნიერება კი შესაძლებელი იყო**

დრამა 5 ნაწილად, ლისენკოს, მოზჟუხინისა და პანოვის მონაწილეობით.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 17 ნოემბრიდან,

პატე ჟურნალი მიმდინარე ამბები

**საცოდავი, სამხედრო საავადმყოფოში მოკვდა**

ძლიერი დრამა 4 ნაწ.

საუკეთესო ყოფა ქალის ქმრები

სახუმარო.

---

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 14 ნოემბრიდან:

ქრონიკა გომონი მიმდინარე ამბები.

**სისხლის მსმელი** (თავი) ვჰენად და მერსის რომანის პირველი სერია.

სახუმარო. **რომელი!?** სახუმარო.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 17 ნოემბრიდან,

პატე ჟურნალი

მსოფლიო ამბები

**სიკვდილის ხვევნა**

დრამა 5 ნაწ. პროლოგით.

პრენსი დაატყვევეს ძლიერ სახუმარო.

---

**ექიმმა** ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3

ტელეფონი № 101. ს.

---

**ექიმი** ი. ზარიძოვი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი: ლეჟავაშვილის ქუჩა, ალიბეგოვის სახ.

ტელეფონი № 135. თ.

---

დოქტორი მედიცინისა

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე.

გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

10—4 დღ. გამ.

---

მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი

**მარიამ ც. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილად ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილი წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37

304—1—თვით.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

ვ-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**დაიბეჭდა** ბ. დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი: **„მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“** პირველი ნაწილი **ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა.** გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა. ფასი წიგნისა 6 აბაზი.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ. ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა“ და ბ. ვ. ეიფიანის მიერ შედგენილი ალგებრა ქართულ ენაზე.

---

**მცხეთის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის გამგეობა**

აცხადებს, რომ 5 დეკემბერს ამა წლისა

**მოხდება ბანკში ვაჭრობა**

უძრავ ქონებისა, რომელიც ეკუთვნოდა

**თ-დ კონსტანტინე ერისთავს,**

და რომელიც მდებარეობს **ქ. ქუთაისში**, თფილისის ქუჩაზე და შეიცავს ერთ ნაკვეთ ადგილს, ზომით 1416 საჟ. შენობებით. ვაჭრობა დაიწყება 26090 მ., ყოველი ცნობა მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ გამგეობისაგან.

თავმჯდომარე გამგეობისა **მგ. ალ. ლორთქიფანიძე.**

დირექტორი **ი. ფანცხავა.**

მდივანი **პ. ლორთქიფანიძე.**

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**უმაღლეს მთავარსარდ. შტაბისაგან.**

**16 ნოემბერი.**

**პეტროგრადი** დასავლეთის ასპარეზი რიგის დასავლეთით გერმანელებმა ორი როტით შემოუტიეს ჩვენს მოწინავე რაზმებს, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ. რიგის სამხრეთით გერმანელებმა მოშხამული გაზის ყუმბარები დაგვიშინეს, მაგრამ რადგანაც გზაზე მდ. მისსი დახვდა, გაზმა ჩვენს თხრილებამდე ვერ მოაღწია. ამავე დროს გვიშენდნენ ცრემლის მომგვრელ ყუმბარებს. მდ. ბისტრიცაზე, სოფ. ძვინიაჩის მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა იერიშით გაჰფანტეს მოპირდაპირის ერთი როტა და ტყვეებიც წამოიყვანეს.

**კავკასიის ასპარეზი.**

მოპირდაპირემ ვანის სამხრეთით 10 ვერსზე აიღო ადრამეჯი და ნოშტირე ოღლი. ქამადანის მიმართულებით მზვერავთა მოქმედებაა.

**რუმინეთი.** ტრანსილვანიის ასპარეზზე მხოლოდ ცვლილების ამბები არ მოსულა.

დუნაის ასპარეზი. არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

**16 ნოემბერი.**

**პარიზი.** სალასის ოფიც. ცნობა. შამპანში მტერმა ნაშუადღევს 4 საათზე შემოგვიტია ობერივის აღმოსავლეთით, მაგრამ ზარბაზნებითა და ტყვიისმტყორცნელებით მოვიგერიეთ.

**რომი.** იტალიელების მთავარ ბანაკის ცნობა. იტალიის ჯარმა დოგორის ველის მიმართულებით, ნიკოპოლის დასავლეთ მხარეს აიღო მაღლობი და კროვენაშტენის მთებისაკენ წაიწია. სხვა რაზმებმა ტარნოვის მიმართულებით წაიწიეს წინ და ცხარე ბრძოლის შემდეგ აიღეს მაღლობები „2220“ და „2027“, ნიკოპოლის სამხრეთ-დასავლეთით. აქ 40 კაცი დავატყვევეთ.

კარნიის ასპარეზზე 12 ნოემბერს მოპირდაპირემ მედგრად დაუშინა ზარბაზნები დიგანოს მწვერვალზე მდებარე ჩვენს სანგრებს.

**16 ნოემბერი.**

**თბილისი.** კავკ. ჯარის მთავარ-სარდ მეფის ნაცვლის დიდი მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისაგან: 6 ნოემბერს, ჩემი დაბადების დღეს ჩემს სახელობაზე მოსულა მოსალოცი დეპეშები. რადგანაც იმ დროს კავკასიის ფარგლებში არ ვიმყოფებოდი, საშუალება არა მქონდა პასუხი გამეცა აურაცხელ მომლოცველთათვის. თბილისში დაბრუნებისას, ვთხოვ ყველა მომლოცველ დაწესებულებათ თუ პირთ, მიიღონ ჩემი გულითადესი მადლობა

გენერალ-ადიუტანტი **ნიკოლოზი**

**16 ნოემბერი.**

**ბუქარესტი.** რუმინელების მთავარ ბანაკის ოფიც. ცნობა 13 გიორგობისთვისა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. მოლდავიის დასავლეთ მიჯნებთან მტერმა იერიში მიიტანა ოიტუზის მიდამოებში, მაგრამ მოვიგერიეთ. ბუზეოს ველზე ცვლილება არ მომხდარა. ბრატოჩესა და პრედეალში ზარბაზნების სროლაა პრახოვოს ველზე ზარბაზნების სროლაა და ქვეითა ჯარის მოქმედებაა. დრაგოსლავლის მიდამოებში, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, მტერმა იერიში მოიტანა, უკუვაგდეთ. კურტეაარჟესთან მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ მოვიგერიეთ. მდ ალიუტის მარცხენა ნაპირად სლატანის სამხრეთ ნაწილამდე მყოფ ჩვენ ჯარს მოპირდაპირემ მედგარი სროლა აუტეხა ზარბაზნებით; ჩვენი ჯარი მარჯვეთ იბრძოდა განსაკუთრებით სამხრეთით როსაოროს წინააღმდეგ მიმართულ მტრის ჯართან. ზიმნიცასთან გადმოსული მტრის ჯარი სოიმას სადგურის სამხრეთს აწვება.

სამხრეთის ასპარეზი მთელი დუნაის გასწვრივ ზარბაზნებისა და თოფების სროლაა. დობრუჯაში ზარბაზნებს ვუშენდით მტრის სანგრებს.

**ბუქარესტი.** რუმინელების მთავარ შტაბის ოფიც. ცნობა 13 გიორგობისთვისა. მოლდავიის ჩრდილოეთ საზღვრებზე ცვლილება არ მომხდარა. გუნტესა, ტაბლაბუტცსა პრახოვოს ველსა და დრაგოსლავლის მიდამოებში ზარბაზნების სროლაა.

დასავლეთის ასპარეზი. მოპირდაპირემ დღისით ჩვენს მარჯვენა ფრთას შემოუტია, მაგრამ მოვიგერიეთ. ჩვენმა ჯარმა ალიუტიდან აღმოსავლეთისაკენ დაიხია. სტარდიოზის მიმართულებით ცხარე ბრძოლაა.

სამხრეთის ასპარეზი, მთელი დუნაის გასწვრივ სროლაა დობრუჯაში ახალი არაფერი მომხდარა.

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან ოფიც. ცნობა: საფრანგეთის დაპყრობილ ოლქებიდან გერმანიაში გადაასახლეს 20 ათასი ფრანგი, მომეტებულად ქალები და ბავშვები. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ მათ არსებობის სახსარი არ გააჩნდათო.

**ლონდონი** ოფიც. ცნობა. წუხელ მტრის საფრენებმა გადმოიარეს ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპიროებზე. იტყობინებიან, რომ ჩრდილოეთ საგრაფოებში რამდენიმე ადგილას ყუმბარა ჩამოუყრიათ. ჯერ არ მიგვიღია ცნობები, თუ რა ზარალი და ზიანი მიუყენებიათ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

საბერძნეთის კუნძულ ტინოსის ახლოს გერმანულმა წყალქვეშამ გაუფრთხილებლად დაღუპა ინგლისის საჰოსპიტლო გემი „ბრიმენ-კესტალ.“ მეზღვაურთა და მსახურთა უმეტესი ნაწილი გადაარჩინეს.

— გენ. ჰინდერბურგს მეორე წერილი გამოუქვეყნებია; ეს წერილი გერმანიის გლეხებისადმია მიმართული; გლეხის ცოლებს არწმუნებს წერილი, რომ ისინი მოვალენი არიან თავისთვის, სულ თავისთვის სამყოფი დაიტოვონ სურსათი და დანარჩენი მთავრობას გადასცენ ჯარისა და სახელმწიფოს თავდაცვის საქმეებზე მომუშავეთა გამოსაკვებათ.

— გერმანიის სამხედრო მინისტრს ჯარის უფროსებისათვის წინადადება მიუცია, დიდი ოჯახის პატრონი ჯარის კაცები ნაკლებად გზავნეთ მოწინავე პოზიციებზეო.

— რუმინიის ასპარეზზე პრედეალის მიმართულებით მომქმედ ჯარისათვის გერმანელთა 3 და ავსტრიელთა 1 დივიზიამი უშველებიათ აქეთკენვე გაუგზავნიათ მძიმე არტილერიის 40 ბატარეა, რომელთაგან 15 ვერდენის მიდამოებიდან აქვთ წამოღებული.

— თითქმის მთელ აღმოსავლეთის ასპარეზზე ორივე მხრივ სამხედრო მოქმედების დაცხრების შესახებ „უტრო როსსის“ მიმომხილველი სწერს: რიგის ყურედან მოყოლებული ტყიან კარპატებამდე ნელნელა საპოზიციო ბრძოლამ დაიკავა ადგილი რის ცდაშიაც იყვნენ სულ აქამდე გერმანელები.

იმ მცირე შეტევებს, რომლებსაც გერმანელები ზოგიერთ ალაგას აწარმოვებენ, მხოლოდ ტაქტიკური მნიშვნელობა აქვთ.

გერმანიის მთავარ სარდლობის მთავარი მიზანია რადაც უნდა დაუჯდეს შეაჩეროს ჩვენი წინსვლა გალიციაში, რომ აქ ჯარი გაანთავისუფლოს და რუმინიის ასპარეზზე გადაიყვანოს.

ამ მიზნით ვოლინში და მთელ გალიციაში მოწინააღმდეგე მაგარ პოზიციებს აგებს; მას სწადია მთელი ეს ხაზი მიუვალ პოზიციებით გაამაგროს და ანკრ სომის ხაზისებური სიმტკიცე მისცეს თავის ბრძოლის პირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი**. რიგასთან გერმანელთა ორმა როტამ მოწამლულ ყუმბარების შემწეობით რუსებს შეუტია, მაგრამ რუსებმა შეაჩერეს.

**კავკასიის ასპარეზი**. ქ. ვანს ოსმალები 10 ვერსით დაუახლოვდნენ.

**დასავლეთის ასპარეზი**. გერმანელებმა რამდენიმე ადგილას ფრანგებსა და ინგლისელებს შეუტიეს. ზოგ ალაგას საარტილერიო ბრძოლაა გაჩაღებული.

**რუმინიის ასპარეზი**. მცირე ვალახეთიდან ცნობები არ მოსულა. დობრუჯაში მდგომარეობა უცვლელია.

**მაკედონიის ასპარეზი**. სერბიელებმა მაღლობი „1050“ აიღეს.

## სამხედრო მიმოხილვა

რუმინიის მიწა წყალზე ღრმად შეჭრილი გერმანელები და ბულგარელები შეჩერდნენ, ამას გვაცნობებს უკანასკნელი დეპეშები.

ეს შეჩერება არავითარ შემთხვევაში არ იქნება ხანგრძლივი, რადგანაც ამისათვის არაა ხელსაყრელი ის სტრატეგიული პირობები, რომელშიაც გერმანიისა და ბულგარეთის ჯარი იმყოფებოდა,

ხოლო უსაფუძვლო იქნება ფიქრი გერმანელთა სისუსტის შესახებ ამ ასპარეზზე, რადგანაც კერძო ცნობებით ჩვენ ვიცით, რომ გერმანეთის მთავარსარდლობამ დიდი ძალი მარქაფა ჯარი გაუგზავნა გენ ფალკენჰაინს და ეხლაც განაგრძობს ფალკენჰაინის და მაკენზენის ჯარების გაძლიერებას.

შეჩერება ეს დროებითია და მხოლოდ ჯარის ახალ გადაჯგუფებისა და ზურგის მოწესრიგების საჭიროებთაა იგი გამოწვეული, რათა წინსვლა უფრო საფუძვლიანი გამოდგეს.

კრაიოვიდან აღმოსავლეთისაკენ მობრუნებულმა გერმანელების ჯარი ერთი მხრივ ალიუტისა და არგისის (არჯიშის) ველებზე მომქმედ რუმინეთის ჯარებს უვლის, მეორეს მხრით კი მდ ვედეს დასავლეთით მომქმედ რუმინელებს უკან დასახევ გზას უჭრის და ვედეს ველით წასულ ბულგარელებთან შეყრას ლამობს.

ზიმნიცასთან გადასული ბულგარელთა ჯარი ორად გაიყო და ერთი ტოტი თუ მდ. ვედეს ველით კრაიოვას ჯგუფისაკენ გაემართა, მეორე ტოტმა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იბრუნა პირი და ბუქარესტისაკენ გაილაშქრა.

აქამდე გერმანელები მცირე ვალახის კონცენტრიულ ხაზებით უტევდნენ და თითქმის უკვე დაასრულეს მცირე ვალახიის დაპყრობა, გერმანელ ბულგარელები. რომ ახალი კვანძის შექმნას შეუდგნენ

თუ მოულოდნელად რაიმე ახალი გარემოების წყალობით დასავლეთ ვალახეთის ბრძოლებმა ხასიათი არ იცვალეს, გერმანელები აღმოსავლეთისაკენ გადაიტანენ თავის მოქმედების სიმძიმეს და ახლა აღმოსავლეთ ვალახეთს შეესევიან, ხოლო რუმინიის მიწაწყალს ისეთი მოხაზულობა აქვს, რომ ისევ სხვა და სხვა მხრივ შეტევით ეცდებიან მის დაპყრობას.

მოსალოდნელია, რომ გერმანელები ცნობილ ბუზეოსა, პრახოვოსა და ტირგულიუს მიმართულებით ერთად ან და რომელიმე ამ მიმართულებით მთავარ შეტევას დაიწყებენ და დანარჩენ მიმართულებებით მხოლოდ დამხმარე ბრძოლებს დაიწყებენ, როგორც მეორე ვალახეთში მოიქცნენ.

ზიმნიცის ჯარის გალაშქრებას მოყვება დუნაის სხვა ალაგას გადალახვა და ბუქარესტისაკენ გალაშქრება.

მხოლოდ ერთბაშად არ მოხდება ეს და უფრო საფიქრებელია, რომ ჩრდილოეთის მხრიდან მაშინ გამოიჩენენ აქტივობას, როდესაც კარგა წინ წაიწევს ზიმნიცის ჯარი, ხოლო დობრუჯის ჯარის მიერ დუნაის გადალახვა და ბუქარესტისაკენ გალაშქრება უფრო გვიან მოხდება და გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

შვერდი.

# ახალი ამბავი.

21 ნოემბერს, ქუთაისის ქალთა საზოგადოება, საზოგადო საკრებულოს დარბაზში მოაწყობს მუსიკალურ-ვოკალურ დრამატიულ საცეკვაო საღამოს, იმედია პატივცემული საზოგადოება უყურადღებოთ არ დასტოვებს და მით აღმოუჩენს ნივთიერ დახმარებას.

✦ ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ ყურადღება ვისგანც ჯერ არს შემდეგ გარემოებას: მესხეთის ქუჩაზე ლულაძისეულ მოედანთან მეთორნეების თავგასულობა უმწვერვალეს წერტილამდის აღწევს, პურს რამდენსაც აცხობენ ყველას აძლევენ მხოლოდ მედუქნეებს, და მედუქნენი კი შემდეგ მცხოვრებლებს ერთი ორს ახდევინებენ. აგრეთვე პურს ჰყიდიან ნიხრზე ზევით ე. ი. ოყას შვიდ შაურათ, 28 კაპიკის ნაცვლად. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

✦ სასადილო წარმოდგენა. შაბათს 19 ნოემბერს, ქალაქის თეატრში ადგ. დრამ დასის, მიერ წარმოდგენილი იქნება ლ. ანდრეევის 4 მ. პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. თარგმანი ალ. იმედაშვილისა.

✦ გუშინ ქიმიური ლაბორატორიის გამგემ დაათვალიერა ადგ. საკანდიტეროები და სარძევეები. ანალიზის გაკეთების შემდეგ უვარგისი რძე და მაწონი აღმოაჩნდა შემდეგ პირებს: პერიკლი ჩოპური დის (ორპირის ქუჩაზე) როსტომ ჩიხლაძეს (ორპ. ქ.) კაფე „რეიმსში“ და ძმ. ჩილინგაროვებს გამგე აპირებს ამ პირებისათვის ოქმების შედგენას.

✦ ამ ბოლო დროს ქუთაისში სხვადასხვა გადამდებ სნეულებამაც იჩინა თავი, ამის გამო ქალაქის სანიტარო ექიმი სთხოვს მცხოვრებლებს, რათა ნუ დამალავენ გადამდებ სენიან ავადმყოფს, რადგან ეს ხელს უწყობს სენის უფრო გავრცელებას.

✦ ქალაქის სასურსათო კომისიის 16 ნოემბრის სხდომაზე დაადგინეს, რადგან ვარლამ ქილაძემ უარი განაცხადა სხვადასხვა მიზეზების გამო ჩრდილოეთ კავკასიაში წასვლაზე, რომელიც იგზავნებოდა ფქვილის საყიდლად—გაიგზავნოს ხსენებულ ადგილას ქალაქის გამგეობის წევრი ვ. არდიშვილი.

✦ 1—15 ნოემბრამდი ქუთაისში რკინის გზით შემოუტანიათ შემდეგი რაოდენობის სურსათ სანოვაგე: სიმინდი 10.000 ფუთი, პურის ფქვილი 16,000 ფუთი, ქართოფილი 4000 ფუთი, ასანთი 480 ფუთი, შაშა, 49 ვაგონი.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში შემდეგი სათადარიგო სურსათ სანოვაგე არის: სიმინდი, 9322 ფუთი, პურის ფქვილი 7750 ფ., კრუპა 562 ფ., ბრინჯი 570 ფ., საკლავი საქონელი 125 ფეხი., შაქარი 148 ფ., ქართოფილი 6036 ფ, თევზი 116 ფ., მარილი 8150 ფ., ზეთი 50 ფ., ქატო 745 ფ, შაშა 430 საჟენი, ნახშირი 1013 ფ., ნავთი 5490 ფ., ასანთი 8635 ათეული საპონი 173 ფ., თივა 290 ფუთი.

✦ თუ რამდენ ფუთს რაიდენი ფუთი სანოვაგე აქვს ამ ჟამათ ქუთაისში. სიმინდი: გერმანე სულაბერიძეს 300 ფუთი, დ. ნატბილაძეს 400 ფ., ანტონ ხეცურიანს 3000 ფუთი, მიხეილ რუხაძეს 300 ფუთი, ერმალო ეფრემიძეს 1000 ფ., პურის ფ: იოს მეჭრელიშვილს 7000ფ., ირ. ბუაძეს 150ფ., ს მახარაძეს 150ფ., ქართოფილი: აბაევს 2000., იოს მეჭრელიშვილს 600, ი. ბეჟანს 2000 ფ., ლ. კიკვაძეს 2000 ფ., ვ. კუპრაშვილს 1000 ფ., ასანთი: ნ. ჯანელიძეს 2000 ათეული, ბასილაძეს და კილასონიას 5,000 ათ., თივა: არტემ ლომიძეს 1044 ფუთი.

✦ 16 ნოემბრის სხდომაზე სასურსათო კომისიამ პირდაპირი მიმოსვლისათვის გაუნაწილა ვაგონები შემდეგ ვაჭრებს: პურის ფქვილისათვის: ძმ. ცაგალოვებს მიეცა 5 ვაგ., ძ. იბაევს 5 ვაგ, ნ. ჯანელიძეს 15 ვაგ., სიმინდის ფქვილისათვის: ძმ. აბაევს 5 ვაგ., აბრამ ჩახვაშვილს 2 ვაგ., სიმინდისთვის: გიორგი ბაზაძეს 2 ვ., მიხეილ რუხაძეს 2 ვ., ერმალო ეფრემიძეს 2 ვ., დავით დამენიას 1 ვ, ტრიფონ მეძმარიაშვილს 2 ვ., არ. ლომიძეს 2 ვ., ლუარსაბ სულაძეს 1 ვ., ნიკო ტერ-სარკისოვს 1 ვ., კოწია სანაძეს 3 ვ., ან. ტყეშელაშვილს 1 ვ, გერასიმე ადეიშვილს 2 ვ., მაქსიმე ბრეგაძეს 2 ვ., ქართოფილისათვის: ვასილ კუპრაშვილს 3 ვაგ., ვლ. მარუაშვილს 4 ვ., ლუარსაბ სულაძეს 5 ვ., აბრამ ჩარხალაშვილს 10 ვ., ანთიმოზ ტყეშელაშვილს 4 ვ., გერ. ადეიშვილს 3 ვ, მაქსიმე ბრეგაძეს 4 ვ., ძმ. ცაგალოვებს 10 ვ, ნესტორ ნარეშელაშვილს 6 ვ ხახვისათვის, აბრამ ჩახვაშვილს 1 ვ. ქატოსათვის: აბრამ ჩიხვაშვილს 1 ან, ტყეშელაშვილს 1 ვ. გერ. ადეიშვილს 1 ვ., მაქსიმე ბრეგაძეს 1 ვ. სოდისათვის: აბრამ ბუზიაშვილს 1 ვ., ბაწრისათვის: ალ. ლლონტს 1 ვ. საწური ქაღალდისათვის: ი გოკიელოვს 1 ვ, რვეულისათვის; ი. გოკიელოვს 1 ვ ასანთისათვის: ი. გოკიელოვს 1 ვ, დავით ქებაძეს 1 ვ, საპონისათვის: დავით ქებაძეს 1 ვ სხვადასხ. სანოვაგისათვის: ვარ. ქორქოლაძეს 1 ვაგ.

✦ ადგილობრივი მიმოსვლისათვის მიეცა, მარილისათვის: ვასილ კუპრაშვილს 1 ვ., მიხეილ რუხაძეს 1 ვ, პლ. ბოკერიას 1 ვ., რაფიელ ელიაშვილს 1 ვ., გოკიელის შვილებს 1 ვ., ისრაილ პაპიაშვილს 1 ვ., ხაიმ რიჟინაშვილს 1 ვ ქატოსათვის: გიორგი ბაზაძეს 1 ვ., ერმალო ეფრემიძეს 1 ვ., დავით დამენიას 1 ვ., პლ. ბოკერიას 1 ვ., ნ. ტერ-სარკისოვს 1 ვ, იზ. პაპიაშვილს 1 ვ. თივისათვის: გიორგი ბაზაძეს 10 ვ., ერ. ეფრემიძეს 2 ვ, დავით დამენიას 2 ვ., პლ ბოკერიას 2 ვ, არ. ლომიძეს 3 ვ., ბზესათვის: დავ. დამენიას 2 ვ., პლ ბოკერიას 2 ვ., არ. ლომიძეს 3., ხახვისათვის: კირილე ფიშევს 2 ვ., ბრინჯისათვის: დავით ქებაძეს 1 ვ, ერბოსათვის: დავით ქებაძეს 1 ვ., საპონისათვის: დავით ქებაძეს 1 ვ, შეშისათვის: იაკობ კაკიტელაშვილს 20 ვ., სხვა და სხვა სანოვაგისათვის: ვასილ კუპრაშვილს 1 ვ., პლ. ბოკერიას 1 ვ., რაფ. ელიაშვილს 1 ვ., ის. პაპიაშვილს 1 ვ, ხაიმ რიჟინაშვილს 1 ვ., დავით ქებაძეს 1 ვ, ნავთისათვის: ნ. ჯანელიძეს 3 ვ.

✦ მტერთან მამაცობისათვის დააჯილდოვეს შემდეგი ქართველი აფიცრები: წმ. ვლადიმერის მე-4-ე ხარისხის ჯვრით პრაპორ. ილია გოგიჩაიშვილი და პოდპოლკოვნიკი თ-დი ალ. ჩიქოვანი. წმ. სტანისლავის მე 3 ხარისხის ჯვრით; პრაპ. გიორგი ხვადაძე, ვასილ მჟავანაძე და დავით მიქაძე. წმ. ანნას მე 2 ხარისხის ორდენით: პოლკოვნიკი თავადი დიმიტრი ჯამბაკურ ორბელიანი წმ. ანნას მე-3 ხარისხის ჯვრით: პრაპორ. ბაგრატ ლვაზერიძე, სიმონ ბრეგაძე და გიორგი ხვადაძე. წმ. სტანისლავის მე 3 ხარისხის ჯვრით: პრაპ. გიორგი მიმინოშვილი.

✦ დაჭრილ-დაავადმყოფებული აფიცრები. ამ უკანასკნელ ხანებში თბილისში ჩამოიყვანეს და № 38 ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი დაჭრილი ქართველი აფიცრები: პრაპ. ვარდოსანიძე და ან ჰვაკლაძე.

**გუბერნატორის კანცელარიის ცნობები**

✦ სოფ. კიცხში (ზუგ. მაზრა) [illegible] ნოემბერს რამდენიმე შეიარაღებული პირები თავს დასხმია ექვთიმე [illegible] წაურთმევიათ 550 მან. ფულით და სხვა დასხვა საქონელი 980 მანეთის. ძიების შემდეგ პოლიციას დაუპატიმრებია თ. მებონია, რომელიც გამოტეხილა დანაშაულში.

✦ ს. ხეთაში (ზუგ. მაზრა) 4 ნოემბერს გზაში დახვედრიათ პარმენ და ამირან დარსელიები, სტეფანე ხუნჯგურიას, ლევან ჯურღულიას და იასონ ბულიას წაურთმევიათ პირველისთვის 44 მ. და უკანასკნელებისათვის ნაბდები. ბოროტ-მოქმედები შეუპყრიათ და გადაუციათ სამსჯავროსათვის.

## † ემილ ვერჰარნი

14 ნოემბერს საფრანგეთის ქ. რუანში ჩასულა ცნობილი ბელგიელი მწერალი. ლექციის წაკითხვის შემდეგ პარიზში დასაბრუნებლად მატარებელში ჯდებოდა, რომ ფეხი დაუსხლტა და მატარებელს ქვეშ ჩავარდა. მატარებლის თვლებმა ზედ გადაუარეს. სრულიად დამახინჯებული მგოსანი ცოცხალ მკვდარი ამოათრიეს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

## კავკასიის ქრონიკა.

**ტფილისი** ქართველ ხმოსანთა ჯგუფს განუზრახავს წინადადება შეიტანოს ქალაქის საბჭოში, რათა პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების ასი წლის თავის აღსანიშნავად თფილისის ერთ-ერთ ქუჩას ბარათაშვილის ქუჩა დაერქვას.

— იქიდანვე იწერებიან, რომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა წინადადება მიეცეს საბჭოს უახლოვეს კრებას ფეხზე ადგომით პატივი სცეს ჰენრიკ სენკევიჩის ხსოვნას და თანაგრძნობა გამოუცხადოს თფილისის პოლონელთა საზოგადოებას.

— **თელავს** ესტუმრა თბილისის გუბერნატორი პოლკოვნიკი ა. მანდრიკა თელავის სადგურზე პურ-მარილით დახვდენ მას დაწესებულებათა წარმომადგენლნი. გუბერნატორმა დაათვალიერა სასწავლებელნი, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის კანტორა, საწყობები მომხმარებელი საზოგადოების და ძრიელ კმაყოფილი დარჩა.

— **ბათუმის** სამხედრო სასამართლოში 12—13 ნოემბერს დახურულ კარებში გაირჩა საქმე ართვინის ოლქის მცხოვრებთა: 1, ნევზედ ბეგ ათაბეგოვის, 2, იუსუბ მამედ ოღლის, 3, იუსუბ ალი კეშოღლის 4, ისმაილ ჯომხუნ ოღლის და 5, ოსმან ტანაბაშ ოღლის.

სასამართლოს თავმჯდომარეობდა მ. პატაპოვი; ბრალს სდებდა 108 მუხლის ძალით სახელმწიფო ღალატისთვის ბ. ივაშჩენკო. დამცველად იყო ნაფიცი ვექილის თანაშემწე ბ., ანჯაფარიძე. მოწმეთ მოწვეულნი იყვნენ 27 კაცი.

განაჩენი: კეშ-ოღლის და ტანაშ ოღლის მიესაჯა ჩამოხრჩობა, ათაბეგოვს და მამედ-ოღლის ოთხ-ოთხი წლის კატორღა; ჯომხუნ ოღლი კი უდანაშაულოთ

## კრება.

(ამბავი)

კრების უწყებაზე მრავალი სხვადასხვა საყურადღებო საკითხი იყო აღნიშნული კრება საღამოს რვა საათზე უნდა შემდგარიყო, და მეორე დილას საზოგადოების წარმომადგენლების აზრს უნდა გაეცნობოდა ერთი მთავრობის დიდ მოხელეთაგანი; თავის შენიშვნით მას ეს აზრი უმაღლეს ინსტანციისთვის უნდა გადაეცა. საზოგადოების მდივანმა უწყებები სათითაოთ დაუგზავნა ყველა წევრებს და წერილობითაც შეატყობინა მათ-აუცილებლათ მობრძანდით, საჭირო საქმეა და საპასუხისმგებლო კრებაო.

დარაჯის მიერ ყველა უწყება და ბარათი ჩამორიგებულ იქნა.

— ყველამ ბრძანა, ბატონო, რომ აუცილებლათ მოვალთო, მხოლოთ ტრიფონს ქონია რაღაც საქმე და სთქვა, რომ შეიძლება ვერ მოვიდეო.

— სხვეებმა ხომ თანხმობა განაცხადესდეკითხა მდივანი.

— კი, ბატონო, რვა საათზე ვიქნებითო.

— კარგი, წადი...

— დარაჯი გავიდა.

— საღამოს ჟამმაც მოაწია.

თუმცა კვირა დღე იყო და ლაზარეს ძლიერ უნდოდა ამ ერთ დღეს მაინც დაესვენა მოწაფეების ჩიჩინისაგან, მაგრამ საქმე სერიოზული იყო, მან ჩაიცვა და შვიდ საათზე გასწია საზოგადოების დარბაზისაკენ.

გზაზე მიტროფანესკენ შეიარა.

მიტროფანე საზოგადოების წევრი იყო და ლაზარეს უნდა მოელაპარაკებოდა და წინასწარ გაეთვალისწინებიათ საქმის ვითარება.

— ა, ბატონო ლაზარე, ბატონო ლაზარე, მხიარულათ მიეგება მიტროფანე ლაზარეს—მობრძანდით, მობრძანდით...

მან გამოსდვა სტუმარს მკლავში ხელი და შეიყვანა სასადილო ოთახში.

ფართო მაგიდას რამდენიმე კაცი უსხდა გარს და სადილობდენ...

რამდენიმე ბოთლი ღვინო ამშვენებდა მაგიდას. ღვინო, ეტყობოდა პირნათლად ასრულებდა თავის დანიშნულებას.

— სიდედრიც გყოლია, ჩემო ლაზარე, და სიმამრიც—პირდაპირ სადილზე შემოგვესტარი—სიცილით მიმართა მიტროფანემ ლაზარეს.

— აბა, იცნობდეთ, ბატონებო ლაზარე ბარაძე, მასწავლებელი, ჩვენი საზოგადოების ერთგული წევრი, ჩემი კარგი მეგობარი და პატიოსანი კაცი...

— ძრიათ სასიამოვნოა—გაისმა ხმები სასიამოვნოა..

ლაზარე გაეცნო სტუმრებს...

— მრავალს კარგს შესწრებიხართ, ბატონო ლაზარე მიმართა ლაზარეს ტოლუმბაშმა-თქვენი სადღეგრძელო იყოს მან დაუსხა ლაზარეს ღვინო და დასცალა თავის ჭიქა...

ყველამ დალია ლაზარეს სადღეგრძელო ლაზარეს რამდენიმე წუთს ჩუმათ იჯდა დაყურს უგდებდა ორი ხანში შესული კაცის კამათს... ერთი ამტკიცებდა, რომ რუსიფიკაცია ჩვენში ძლიერ ვრცელდება და ფეხს იკიდებსო, მეორე კი წინააღმდეგ ამბობდა რომ თვით ჩვენ ვაქართველებთ ჩვენში ჩამოსულ სხვა ეროვნებებსო...

კამათს ბოლო აღარ უჩნდა და ლაზარემ წასვლა დააპირა.

— მიტროფან, თქვენ არ წამოხვალ? დაეკითხა ის მიტროფანეს...

— რა ვქნა, კაცო ხომ ხედავ ჩემს საქმეს სტუმრები მყავს და ჩემი ახლა იქ წამოსვლა აღარ ღირს... თუ რამე ისეთი იქნეს ყველ შემთხვევაში მეატყობინეთ...

ლაზარე წავიდა...

გზაზე საზოგადოების წევრი სოლომონი შეხვდა..

— სად მიეჩქარები, სოლომონ—გააჩერა ის ლაზარემ-კრებაზე ხომ არ მიდიხარ...

— ო, ლაზარეს გაუმარჯოს.. ჯერ ვერ მივალ, რვის ნახევარზე რედაქციის კოლეგიის კრებაა და ეხლა იქ მივდივარ, როგორც გავათავებთ მოლაპარაკებას პირდაპირ წამოვალ; დღეს სერიოზული საკითხია...

— აბა ჰე, მოდი უსათუოთ-უთხრა ლაზარემ და გაუდგა გზას.

საზოგადოების დარბაზის კარებთან მას მდივანი შეეჩება წინ.

— ო, ბატონო ლაზარე, თქვენ ჩვეულებრივათ აკურატნათ მოდიხართ მაგრამ ჯერ არვინ მოსულა. მე ეხლა პეტრესთან მივდივარ, მერე ვასილთან უნდა შევიარო... უნდა მოვრეკო ეს ხალხი აბა რა ვქნა...

— წადი ივარგე აბა, თუ არა გლახათაა საქმე უთხრა მას ლაზარემ და ლაიწყო პალტოს გახდა... მდივანი კი პეტრესკენ გაეშურა...

ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა პეტრე...

— გამიჭირა ამ კაცმა საქმე გინდა თუ არა წადი და წადი კრებაზეო... გამომაგდო სახლიდან.. დასწყევლოს ღმერთმა მაგათი თავი... ვერც მოვასწარი სადმე გასვლა..

— ლაზარეს გაუმარჯოს-მათ ერთი მეორეს ხელი ჩამოართვეს. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ კრების წინააღმდეგი გახლავარ მაგრამ... არავინ მოსულა ჯერ?—შეეკითხა ის ლაზარეს...

ლაზარემ მრავალ მნიშვნელოვანათ მიმოავლო თვალი ცალიერ სკამებს. პეტრე დაჯდა

— М. даа, они не скоро еще будуть, მთქნარე ბით ჩაილაპარაკა პეტრემ—скоро девять...

— ვიცადოთ.. სთქვა ლაზარემ, ამოიღო უბის წიგნი და რაღაცას წერა დაიწყო.

დიდი საკრებულო დარბაზი მდუმარეობით იყო მოცული. საათის ერთხმოვან ხმები და პეტრეს მთქნარება არღვევდენ მხოლოთ სიჩუმეს. . პეტრე არა ჩვეულებრივათ, როგორც იტყვიან „ნოტებზე ამთქნარებდა“ დაიწყებდა დაბალი „დო“ დან და მაღალ „რე“ზე შესყვიტავდა წვრილ ხმას. .

იჯდენ კაი ხანს... საათმა ათჯერ დარეკა.

პეტრე და ლაზარე რამდენიმე წუთს დაღლილი, თითქოს ნამძინარევი თვალებით მისჩერებოდენ საათის ისრებს..,

— ჰა, ჰა, ჰა, ჰე,-ჩაამთქნარა პეტრემ,.

ლაზარემ განაგრძო წერა თავის წიგნაკში

— მე მივდივარ-სთქვა პეტრემ რამდენიმე წუთის შემდეგ...

მე მათი ამბავი ვიცი-დღეს არვინ არ მოვა... არ წამოხვალ ლაზარე...

— მე მოვიცდი ცოტას.. დაიცადე კაცო, იქნებ მოვიდეს ვინმე?..

პეტრემ საათზე უჩვენა ღამე მშვიდობისო სთქვა და ნელის ნაბიჯით გავიდა ოთახიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცნეს და გაამართლეს. სასამართლომ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას მთავარსარდლის წინაშე სასჯელის შესამსუბუქებლად.

— **ბაქოში** ფლაგების გაყიდვის დღეს ქალაქთა კავშირს 25,000 მანეთი შეუგროვებია.

— იქიდანვე იწერებიან, რომ დაიწვარი არტისტიული საზოგადოების შენობა 25,000 მანეთში იყო დაზღვეული და კლუბის მოძრავი ქონება 7000 მანეთში. ცეცხლი სარდაფიდან გაჩდა. როდესაც ცეცხლი შენობას მოედო ხალხს თხოვეს ცეცხლის დაქრობაში დახმარებოდენ; მაყურებლებმა დაიძახეს: ვინც კლუბში ბანქოს თამაშობდა მან დააქროს ცეცხლიო.

— **კავკავიდან** ცნობა მოვიდა, რომ იქ გიმნაზიის დირექტორს პოლიციმეისტრისათვის შეუტყობინებია, რომ ყველა საშუალო სასწავლებელთა უმფროსებს სხდომა ქონდა და გადაწყვიტეს, რომ მოწაფეებმა ცირკში არ იარონ. ამის გამო განკარგულებაა მომხდარი და ცირკმა მოსწავლეებს ბილეთები არ მიჰყიდოს.

— **ბაქოდან გვატყობინებენ რომ** იქ გაუხსნიათ ომისაგან დაზარალებულთა შვილებისათვის თავშესაფარი პანსიონით 12 ბავშთათვის, გამგეთ მიუწვევიათ ონის საქალებო სკოლის გამგე რაისა ჯაფარიძის ასული, თავშესაფარის მოსაწყობათ გადაუდვია კომიტეტს 8000 მანეთი. განძრახულია ამიერიდან მიეცეს ყოველ წლივ 4000 მან.

— **ახალთუბანში** 7 ნოემბერიდან ზამთრის სეზონია გამოცხადებული. ეს სეზონი, როგორც ზაფხულის, ყველა პირთათვის არის გახსნილი, როგორც სამხედრო, აგრეთვე სამოქალაქოთათვის. ხარჯები კი წყლების მუშაობაზე, სისუფთავეზე, ბაღების შენახვაზე და სხვა სამხედრო ფონდზე იქნება მიწერილი.

— **ზუგდიდის** მცხოვრებნი მიწის მოქმედების დეპარტამენტის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავთ იქ სამეურნეო სკოლა გახსნან.

**ტრაპეზონი.** ადგილობრივ სამხედრო ფურცელში კომენდატის შემდეგი ბძანება დაბეჭდილი: რადგან საჭიროდ დავინახე, რომ ქალაქის გამგება მუსულმან მცხოვრებთა მხრით ორი ახალი წევრით შეივსოს, ამისათვის ამ თანამდებობაზედ ვნიშნავ ქარლიხ ზადე ხაპუზ შევკეთს და ზიგერ ზადე ზუფთი იბრაგიმს. ორივემ, გენერალ-მაიორი შვარცის ბრძანებით, ჯამაგირი უნდა მიიღონ ქალაქის შემოსავლიდან და იმდენი, რამდენსაც სხვა წევრები იღებენ.

# ვარდი

ერთხელ ვარდი მომიძღვენი გაცრეცილი ნაზი მკრთალი,
ვით პირველი სიყვარულით ავადმყოფი ტურფა ქალი;
შემებრალა მოწყვეტილი, დაუყვავე, მივეფერე,
ნაზ ფურცლებსაც დავეკონე ალერსი არ დავაჯერე.
შემიყვარდა, გავუფთხილდი, ხელიც კი არ მივაკარე,
და საყვარელ წიგნის ფურცლებს შესანახად მივაბარე.

—:—

და გავიდა შემდეგ წლები ჰქროდნენ დღენი, სცვლიდნენ დღესა.
თან წარიღეს ოცნებები და ტანჯული სულის კვნესა.
დამრჩა მკაცრი სინამდვილე, დამამწუხრა დამალონა,
და ცხოვრებამც ვარდის ნაცვლად ეკალნარის შემძლენა კონა,
და მოვძებნე ერთ დღეს წიგნი, წიგნი წარსულ ყმაწვილობის,
ჩემი უტყვი მეგობარი და მოწამე ბავშურ გრძნობის.
გადავშალე, გადავფურცლე, ნახვა მისი გამეხარდა,
და უეცრად ვარდის ტოტი წიგნიდან ძირს დამივარდა.
ჩაიფუშა, ჩაიშალა, ჩაიშმუშნა ჩაიკეცა,
და პაწია სიხარულიც შემეცვალა სევდათ მეცა,
ბაღში ვიყავ ჰქროდა ქარი, ქარი ქურდი მაწანწალა,
აიტაცა ვარდის მტვერი აკრეფაც არ დამაცალა;
მიმოფანტა და მდინარის მჩქეფრ ტალღებში შეაცურა,
ბედმა ჩემთვის თვით მტვერიც კი, დაინანა დაიშურა.
და ამ რიგად დამეკარგა ვარდი შენგნით მონაძღვენი,
ეჰ, ვინ იცის რას გვიმზადებს ჩვენც ამ ქვეყნად ბედი ჩვენი.

**საფო მგელაძე**

## საერთაშორისო მდგომარეობა.

ამბობენ, რომ თანამედროვე ომი „საერთაშორისოაო“! ამბობენ აგრეთვე იმასაც, რომ პატარა და უუფლებო ერთვნებათა თავისუფლება აუცილებელი შედეგი იქნება ამ ომისო.

მკითხაობა არ ძალგვიძს და ამიტომ ვერაფერს ვიტყვით იმაზე, თუ რით დაბოლავდება დღევანდელი გაწამაწია. ერთი რუსის პუბლიცისტის თქმისა არ იყოს, ისტორია გასროლილ ქვას, მიაგავს რომელიც უსათუოდ დავარდება სადმე, მაგრამ სახელდობრ სად და როგორ ეს ჩვენ არ ვიცით. ამიტომ, იმის მტკიცება თითქოს დღევანდელი ომის დასასრული პატარა ეროვნებათა პოლიტიკურ აღორძინებას გულისხმობდეს, გადაჭარბებული წინასწარმეტყველობა და ოცნება იქნება.

რაც შეეხება არსებულ პირობების შეფასებას, მეომარ სახელმწიფოთა რეალურ მდგომარეობის გათვალისწინებას მომენტის მიხედვით, ამაზე ის შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თანამედროვე ომი „საერთაშორისო“ არ არის. ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ ინტერესებს იმ პატარა ეროვნებათა, რომელთაც საკუთარი და დამოუკიდებელი პოლიტიკური სიცოცხლის მოპოება მორიგ საკითხად მიაჩნიათ.

რასაკვირველია, მებრძოლ სახელმწიფოთა საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას, ყოველგვარ ეჭვს გარეშე, ამა თუ იმ ერის ინტერესები ასულდგმულებს. მრავალ ეროვნებათაგან მექანიკურად შეკოწიწებულ თანამედროვე სახელმწიფოს, უსათუოდ ერთი რომელიმე ხელმწიფე-ერი მეთაურობს და ამ მხრივ არსებულ სახელმწიფოთა მოქმედებაც, შინ თუ გარედ, ეროვნული ხასიათისაა, მაგრამ ეს როდი კმარა იმისთვის, რომ ამ სახელმწიფოთა ურთ ერთ შორის განწყობილებას „საერთაშორისო“ განწყობილება ვუწოდოთ და დღევანდელ ომს კიდევ „საერთაშორისო“ ომი.

უკანასკნელმა სამმა საუკუნემ ეროვნული საკითხის პროგრამმა—მინიმუმში უუფლებო ეროვნებათა მხოლოდ უფლებრივი საკითხის დადებითი მოწესრიგება მოითხოვა, ხოლო ამავე საკითხის პროგრამა—მაქსიმუმში მოითხოვა პოლიტიკურად კმაყოფილ ეროვნებათა ცხოვრების მოგვარება, თანახმად შინაური საქმისა და საგარეო პირობებისა და სოციალურ ცხოვრების რეალურ მოთხოვნილებისა.

ეროვნული საკითხის ეს ძირითადი დებულება და მოთხოვნილება თუ დავიწყებულ არ იქმნა, მაშინ სახელმწიფოთაშორისო ხასიათის მოვლენას ეროვნულს ვერ უწოდებთ, რადგან თვით ცნება „სახელმწიფო“ გულისხმობს სწორედ იმას, რასაც უუფლებო ეროვნებანი მოითხოვენ თავიანთ პროგრამა—მინიმუმში და რაც „სახელმწიფოებრივ ერს“ უკვე მოპოებული აქვს. ერი, უფლება ჰოსილია ის თუ უუფლებო, თავის მოქმედებაში უთუოდ ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობს და ამ მხრივ თანამედროვე ომიც „საერთაშორისოა“, მაგრამ, როგორც გულწრფელი მარქსისტი მშრომელი მასის ზოგიერთ ელემენტთა—ლუმპენ—პროლეტარულ მიდრეკილებას მთელი მუშათა საკითხის დადებით პოლიტიკურ—ეკონომიურ მოთხოვნილებათ ვერ ჩასთვლის, ისე დღევანდელი კატასტროფის ხელმძღვანელი ხელმწიფე ერთა ინტერესებს, ეროვნული საკითხის დადებით მოვლენად ვერც ჩვენ მივიღებთ.

— ომი არ დაწყებულა უუფლებო ეროვნებათა მოთხოვნილების ნიადაგზე და არც ემსახურება მათს პროგრამა-მინიმუმს.

მთელი სიგძე-სიგანე ამ საშინელი მომენტისა განიზომება ისეთი სურვილებით, რაც დღევანდელს—სიტყვითი თავისუფლების პირობებში მხოლოდ მრავალ წერტილებით თუ აღინიშნება... ამისთვის საკმაო ფაქტებიც თან და თან გროვდება. კარგად ვნახეთ, თუ რა ბედი ეწია ირლანდიელთა „წყეულ“ ჰომრულის საკითხს, თუ როგორ აიმრიზა ასკვიტის პოლიტა. ხოლო პოლონელთა მდგომარეობა უფრო ააშკარავებს ხელმწიფე ეროვნებათა გულისთქმას.

როგორც ვიცით ცენტრალურმა სახელმწიფოებმა პოლონეთს ავტონომია უბოძეს. მაგრამ თუ რამდენად ეთანხმება ეს თვით პოლონელთა ეროვნულ მისწრაფებას და რამდენად გული შესტკიოდა ბეთმან ჰოლვეგისა და ლებელის კაბინეტს მათზე, ეს იქიდან სჩანს, რომ პოლონელთა უმრავლესობა თითქმის პროტესტით მიეგება ამ პოლიტიკურ აქტს. თვით 23 ოქტომბრის მანიფესტში ნათლად სჩანდა ნიადაგი ამგვარი პროტესტისა. მასში არ იყო გარკვეული საზღვრები მომავალი პოლონეთის, არ ; ის იყო ნათქვამი, თუ ფაქტიურად როდის განხორციელდებოდა ავტონომია, და ამავე დროს მხოლოდ რუსეთის პოლონეთს გულისხმობდენ მაშინ, როდესაც პრუსიის პოლონელებიც საჭიროებენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

ხელმწიფე ერის განზრახვა ცხადი იყო თავიდანვე და ეს სიცხადე თან და თან ძლიერდება მრავალმეტყველი პრუსიის ლანდტაგში.

კონსერვატორებმა და ნაციონალ-ლიბერალებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ შეუძლებელი და გერმანელი ერის ინტერესთა დამცირებაა პოზნანის პოლონელთა სრული თავისუფლება, ხოლო რუსეთის პოლონეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრების ფაქტიურ მოწესრიგებაზე საუბარი ნაადრევია, ვიდრე პოლონეთი თავის ერთგულობას არ დაგვიმტკიცებსო მით უმეტეს „ჩვენ ვიცით, რომ პოლონელებს გერმანელები სძულთო“.

ამავე დროს მოკავშირეებს აგონდებათ ჰააგის კონფერენცია, აგონდებათ საერთაშორისო სამართალი და ამ სამართლის გერმანელთა მიერ დარღვევა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხსენებული კონფერენციაზე შემუშავებული რეზოლიუციით არც ერთ სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლება დაპყრობილი ქვეყნებიდან ჯარი გამოეყვანა მოპირდაპირის წინააღმდეგ. აგონდებათ ყოველივე ეს და პროტესტს პროტესტზე აცხობენ, მაგრამ დღეს ძნელი მისადებია ის ფაქტი თითქოს მოკავშირეებმა არ უწყოდენ საქმის ნამდვილი ვითარება. არა, მოკავშირეებმა კარგად იციან, რომ უფლებას მხოლოთ შესაფერისი ძალა ჰქმნის და რომ საერთაშორისო სამართალიც მხოლოდ იქამდე არსებობს, ვიდრე ეს ძალა მოეპოვება ამა თუ იმ პირობის დამდებ ერს.

ძალა და უფლება განუყრელი ძმები არიან. უფლება შესაფერ ძალ-ღონის გარეშე, ყინულზე დაწერილი თამასუქია და, აი, სწორედ ეს თამასუქი გააბათილა დღესდღეობით გერმანიამ.

კარგი იქნებოდა, რომ გერმანელთა ასეთი საქციელი ისეთ ფურს ჩაეწიხლა, რომელიც მასზე მეტს იწველის.

რაც შეეხება დანარჩენ უუფლებო ერებს, მათ შესახებ არც არაფერი ისმის, ხოლო თუ ისმის რამე ისეთი ხასიათისა და ისეთივე სტილისაა, როგორიც არის პოლონეთის მაგალითი.

ვანე.

— პტრ, პრ, პტრ, პრ-კიდევ ისმოდა მისი წალების ჭრიჭინი.

ჩამოვარდა სიჩუმე... საათმა თერთმეტჯერ დარეკა...

— რას მიეჩქარება ეს ოხერი გაიფიქრა ლაზარემ და მიაჩერდა საათს... გუშინწინ მდივანმა მითხრა, რომ რამდენიმე წევრმა საათი უკან დაახევიეს ოცდა ათი წუთით დაგვიანება არ შეგვემჩნესო, და ეხლა რა ჯანდაბა დაემართა... ეხ, წავალ მეც... მან ჩაიდო ჯიბეში უბის წიგნი და გაეშურა კარებისაკენ...

უეცრათ კარებში მდივანი შამოვარდა...

— ა, ბატონო ლაზარე თქვენ კიდევ აქ ბრძანდებით იცავთ თქვენს პოზიციას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე?.. ხა, ხა, ხა, ხა... პეტრე არ მოსულა? გაკვირვებით იკითხა მან...

— იყო და წავიდა მიუგო პეტრემ.

— შენ სად ხარ კაცო ამდენ, ხანს საყვედურის კილოთი მიმართა მან ვანოს. საძებრათ წადი და თვით საძებრათ შეიქენი...

— დასწყევლოს ღმერთმა მაგათი სახსენებელი... მივედი პეტრესთან, ვეჩიჩინე ვეჩხუბე... და როგორც იქნა გამოვგზავნე... წავედი ვასილთან... ახლა ცოლი მყავს ავათ და მთლათ რო დეიქცეს ყოველიფერი მაინც ვერსად წავალო... დავანებე თავი მივარდი სოლომონთან მითხრეს კრებაზე წავიდაო... წავედი თავად დიდოსთან მას რუსეთიდან შვილი ჩამოსვლია. მსტაცა ხელი. არავინ ახლა კრებაზე არ მოვა რათა ხარ მასთე სულელიო. არას გზით არ გამომიშვა... დიდი სმა იყო მარა მე ადვილათ გადაურჩი... აქამდე იქ ვიჯექი... ჰმ.. მაშ არავინ მოსულა. კაი იქნებოდა რომ დიდოსას დავრჩენილიყავ... წავიდეთ ბატონო ლაზარევ... დღეს ჩვენს პარლამენტში მხოლოთ ერთი წევრია... ხა, ხა, ხა,... Сердце красавицы полно тра ла, ла, ჩაიღიღინა მან და გაეშურა კარებისაკენ...

ლაზარეც გაყვა.

კრება არ შესდგა.

——

„სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო კვირასთვის დანიშნული კრება საკრებულო დარბაზში არ შესდგა. კრება გადადებულია შემდეგი კვირისათვის“. ეწერა მეორე დღეს ადგილობრივ გაზეთის ქრონიკაში.

ნ. მიწიშვილი.

## სიკვდილით დასჯა.

1910 წელში, პეტროგრადში გამოვიდა დიდად საინტერესო გინცბურგის წიგნი: სიკვდილით დასჯა ებრაელებში. როგორც უფლებათა ცხოვრების ინსტიტუტი, სიკვდილით დასჯა ძველთაგან არის ნაანდერძევი. გინცბურგს ამ წიგნში გადათვალიერებული აქვს ეს ინსტიტუტი ისე, როგორც იგი „მიშნაში“ მოხსენებული. წიგნში მოყვანილია მოსაზრებანი, თუ რათდენად ძველთა ისრაელთა მსაჯულები ეთანხმებოდნენ კაცის სიკვდილით დასჯას, როგორ, უცქერდენ თვით სიკვდილით დასჯილს დამნაშავეს და საერთოდ რა თვალსაზრისი ჰქონდა მაშინდელ საზოგადოებას ამგვარ დასჯაზე.

„მიშნას“ აზრით დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ კაცმა თავის მოყვასი სიკვდილით დასაჯოს, რადგან ყოველი კაცი ხატად და მზგავსად ღვთისაა გაჩენილი და მისი შეცთომით დასჯა, თვით ღვთის დასჯას უდრის. მეორედ, თითვეული კაცი მთელ კაცთა მოდგმას შეიცავს თვისში და არა ერთ მხოლოდ პიროვნებას, ამის გამო სიკვდილით დასჯა ერთი პირის დასჯა კი არაა, არამედ მთელი მოდგმის დასჯაა. ყოველმა მსაჯულმა მოსე წინასწარმეტყველის ხუთი წიგნით უნდა იხელმძღვანელოს, რომელიც ამბობს „სისხლზე ნუ ლხინობთო“ ამის გამო მსაჯულნი დიდი შიშით და კრძალვით უნდა მოეპყრობოდენ კაცის სიკვდილით დასჯას, რადგან მისი სიცოცხლე ფას დაუდებელია.

მსჯავრის დადების დროს გამართლების მხარის ხმებს, როგორც თვით დამნაშავის ხმა, აგრეთვე მის დამცველის ხმაც უნდა მიმატებოდა. სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, თუ ეს ორი ხმაც არ მოეხმარებოდა, მსაჯულები ვალდებული იყვნენ ცდილიყვენ, რომ ახალი მოწმეები ეშოვნათ, ან ახალი საბუთები გამოენახათ, რომ საქმე ხელახლა ყოფილიყო გადახედული.

ძველი ისრაელთა კანონ-მდებლობიდან აკრძალული იყო ნაქირავები ჯალათის ყოლა. გადაწყვეტილება სიკვდილით დასჯისა ერთ ერთ მოწმეს უნდა შეესრულებია. თუ რომ დამასმენელთა მოწმეები რომელიმე შემთხვევის გამო თვით არ აასრულებდენ გადაწყვეტილების შესრულებას, იმ შემთხვევაში დამნაშავე სიკვდილით სასჯელისაგან უნდა თავისუფალი ყოფილიყო და მსაჯულთ უფრო სუბუქი სასჯელი მიესაჯათ მისთვის.

დღეს კი რას ვხედავთ! საშინელებაა ცივილიზაციის ნაყოფი! დღეს კაცის სიცოცხლე აღარ ფასდება, ვერც სარწმუნოებრივი, ვერც ზნეობრივი [illegible] სიკვდილით დასჯისაგან აღარ იხსნიან. დღევანდელმა [illegible] და გაიხსენოს „ნუ ლხინობთ სისხლზეო.“

პ. ივლიტელი

## სამი სენი

„რაიცა ერთხელ სულს დააჩნდების“.
საშვილიშვილოდ გარდაიცემის.

ნ. ბარათაშვილი.

ნათქვამია გაჭირვება კაცს აკაჟებს და უფრო ადამიანებსო, მაგრამ ეს დებულება ხშირად ცარიელ სიტყვად რჩება. სინამდვილე სულ სხვას ამტკიცებს. დღეს რომ ჩვენს ხალხს უჭირს, ამაზე მეტი გაჭირვება ძნელად თუ გამოგვივლია როდისმე. მართალია ჩვენს ხალხს ახსოვს „სისხლის წვიმების“ დრო, ათასგვარი ვაიანობა მაგრამ ამ უბედობას ხომ დღესაც განიცდის ქართველი ერი და ახლა ამას რომ დაუმატოთ ის სამი სენი, რომელიც დღემდის უნიადაგო იყო ჩვენში და დღეს კი ღრმად იდგამს ფეხებს, დავინახავთ, რომ ჩვენ ხალხს მართლა უჭირს.

როგორც მოგეხსენებათ პირველი საზრუნავი ადამიანისათვის კუჭის საკითხია; თუ კაცს შია ის სხვას არაფერს დაეძებს გარდა საჭმელისას და დღეს რომ უმუშა ხელოთ, უგროშოთ და ზოგ ალაგას უმიწაწყლოდ დარჩენილ ქართველ ხალხს შია, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ყველა ლუკმის ძებნაშია, ყველას შიმშილი ელანდება და ამ გაჭირვების ასაცდენად ბრძოლამ წარმოშვა ერთგვარი იარაღი, სენი რომელსაც სამი სახელი ჰქვია. ეს გახლავთ პირმოთნეობა, შური და ღალატი. ღალატი ქართველთათვის უფრო ადრინდელი ნაცნობია მხოლოდ პირმოთნეობა და შური ღალატთან ერთად ჩასახულნი ეხლა იფურჩქნებიან, ნიადაგი მათთვის უკვე მზათ არის. ვინც ცოტა ხნით მაინც მოშორებია ქალაქს და სოფლიერ ცხოვრებას დაჰკვირვებია, დღეს ის ცხადად ნახავს ამ სენის ნაყოფს. ქართველს ცოტა არ აკმაყოფილებს, ის მუდამ მეტის მაძიებელია; მას არ უყვარს სხვის სიდიდე, რადგანაც ქვეიდან ზევით სხვის ხელის ყურება მისთვის სიცოცხლის მომწამლავია. მუდამ მწვერვალს ეპოტინება და რადგანაც დღეს ცხოვრებამ ზოგი სულ აამაღლა ზოგი კი მიწასთან გაასწორა ამიტომაც ამ სენმაც უფრო ნათლად იჩინა თავი. გაიარეთ სოფლად, დააკვირდით ხალხის ლაპარაკს, მათ ქცევას, დაიჭირეთ მათთან რაიმე საქმე და ნახავთ, რომ პირვანდელ ქართველის გულ ახდილობას, სიტკბოებისა და მხიარულობის ნაცვლად გულ-ჩახვეულობა, პირმოთნეობა და მქმუნვარება გაეფებულა. რა ქნას ხალხმა, ხალხს უჭირს იგი ლუკმა პურის ძიებაშია და ეს სენიც მისი პირმშო შვილია.

ნათქვამია: გაჭირვებული ნაფთი ეკალს ედებოდაო, და დღეს ჩვენი ხალხისთვის სწორედ ზედგამოჭრილი ანდაზაა. ქართველ ხალხს რომ უჭირს ამაზე ხომ ზევითაც ვსთქვით, ყველასათვის ცხადია რომ მეტი გაჭირვება, როგორსაც დღეს განიცდის ქართველობა სოფლად, წარმოუდგენელია. გაჭირვებას ხომ დალხინებასავით ადრე არ შეურიგდება ადამიანი, იგი ებრძვის მას (გაჭირვებას) მთელი თავის ძალღონით, უმკლავდება და ამ ბრძოლაში გამოააშკარავებს თავის სულიერ და გონებრივ ავლადიდებას. დავინახეთ რომ ქართველმა ამ არსებობისათვის ბრძოლაში ჩაიკოჭლა და თავის დასამარცხებლათ ტანში შეუშვა ერთგვარი სამ სახელიანი სენი: პირმოთნეობა, შური და ღალატი.

რამდენათაც ამ ბრძოლაში მარცხდება ადამიანი იმდენად უძლიერდება სურვილი თავ-დავიწყებისა რომ მით ცოტა-ხნით მაინც დაივიწყოს თავს დატეხილი უბედობა. ქართველ ხალხსაც სოფლად სწორედ ასე დაემართა, მან გაჭირვებასთან ხანგრძლივ ბრძოლით დაქანცულმა გამოძებნა წამალი თავ-დავიწყებისა. იქნებ გგონიათ მკითხველო ეს წამალი ღვინო იყოს? არა სტყუვდებით. ერთი ბოთლი ღვინო ქართველს თავს ვერ დაავიწყებს, მისთვის საჭიროა სამი ან ოთხი ბოთლი და სამი,—ოთხი მანეთი რომ სოფლიერმა დღეში გაიღოს ის ხომ გაჭირვებულიც აღარ იქნება.

არაყს უფრო მეტი ძალა აქვს და ამიტომაც სოფლად დღეს არაყის გამოხდა აუცილებელ ჩვეულებად გარდაიქცა. იგი აღარა ზოგავს შვიდ—რვა მანეთად ნაყიდ

კოდ სიმინდს ოლონდ-კი ეს გაჭირვების გამქარვებელი მწარე არაყი გამოხადოს. თუ არ გამოხდის იყიდის ჩაინც, შიმშილს არად ჩააგდებს. არაყმა ზოგს ვაჭრობაც-კი დააწყებინა ეს ნიშანია გონების დაბნელებისა, რადგანაც დღეს ქართველი გლეხი იმას ჩადის, რასაც წინეთ სხვათ უწუნებდა, ისე იქცევა, რაიც მას დღემდის დასაგმობად მიაჩნდა. სხვის დამცინავი დღეს თვით ხდება დასაცინი. ეს გახლავთ მეორე სენი, რომელიც მალე—სულ მალე მოითხოვს წამლობას.

მესამე სენი გნებავთ გაიგოთ? ეჰ! რაღა თქმა გინდათ, იმ სენით ხომ ყველა ქართველია დაუძლურებული იგი ხანგრძლივი სენია მის განკურნებაზე დღედა-ღამ ვყვირით, მაგრამ ამით მას უფრო ვაძლიერებთ არამც თუ ვკურნავთ ეს სენი გახლავთ ჩვენი „ქართულად ლაპარაკი". ამ ენაზე ლაპარაკობს ყველა ქართველი მდიდარი და ღარიბი, გლეხი და თავადი, მღვდელი და ბერი. მეგონა ქალაქის განშორებასთან ერთად ენის ჯვარ-ცმასაც მოვშორდებოდი, მაგრამ რო იტყვიან „ვაის გავეყარე—ვუის შევეყარეო" ისე დავემართა. უცხო სტუმარი რომ ვყოფილიყავი სოფლის, სოფელი მეგონებოდა რუს-ქართველობისაგან დასახლებული, მაგრამ როდესაც დარწმუნებული ხართ მათ მკვიდრ ქართველობაში რაღა უნდა სთქვათ სოფლის ყრილობაზე რომ ყური უგდოთ ლაპარაკს, გაოცდებით: აშკარად შეამჩნევთ რომ მოლაპარაკე განზრახ ურთავს ქართულში რუსულ სიტყვებს, რომ მით ვითომ და ცოდნით თავი ისახელოს, შთაბეჭდილება მოახდინოს მსმენლებზე! მოპასუხემ თუ ისეთივე ქართულით არ გასცა პასუხი თავის შერცხვენად მიიჩნევს.

ეს სენი დღეს უფრო გაძლიერდა რადგან მისვლა მოსვლა გახშირდა, ჯარიანობამ ხომ სულ გარყვნა ენა. ყველა სახლში მოსულ ჯარის კაცს „გენიოსათ" წარმოუდგენია თავი და მისი გენიოსობა გაუგებარ ლაპარაკით გამოიხატება.

ამ სენის წამალი, როგორც პირველ ორისაც საყოველთაო განათლებაა, მაგრამ სანამ ჩვენი ხალხი გათვითცნობიერდებოდეს ისე, როგორც საჭიროა, მანამდის იმ სიტყვებსაც-კი, რომელნიც წალმა დგანან: ყირამალა შევატრიალებთ.

შეიძლება თავი მოიტყუოს ვინმემ და სთქვას: „რა ვუყოთ ეს სენი გარდამავალიაო, მაგრამ ისიც ნუ დაავიწყდება ასეთ ადამიანს, რომ სენმა თან გადატანაც იცის, და თუ თან არ გადაიყოლა საუკუნოთ დაასნეულებს მაინც. ეს ადრევე იცოდა დიდმა ნ. ბარათაშვილმა და იმიტომაც სთქვა:

„რაიცა ერთხელ სულს დაჩნდების
საშვილიშვილოდ გარდაიცემის".

ბ. გორდეზიანი.

## პატარა წერილები.

### 5.

როგორც ჩვენ მკითხველებს მოეხსენებათ, ამ დღეებში ქუთაისს ეწვია საქართველოს ეგზარხოსი პლატონი.

მათმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ გულ დასმით მოუსმინა სამღვდელოებისაგან ამორჩეულ პირთ ქართული ენისა და ქართული გალობის შესახებ აღძრული კითხვა.

როგორც საზოგადოებასაც მოეხსენება ათსა და თერთმეტ ამა ნოემბრის რიცხვების სხდომებზე სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა ხოლმსკიმ ისე მოაწყო საქმე, რომ ახლად გახსნილ ქუთაისის სემინარიაში ქართული გალობის მასწავლებლად ამ საგნის უმეცარი ვიქტორ შარაშიძე დაინიშნა და ქართული ენის გაკვეთილები მუშანია ბერს მისცა. ასეთმა კადნიერებამ ბ ნი ხოლმსკისამ, რომელსაც სრულიადაც არ შესტკივა გული ქართველ ერისათვის, ძალზე აღაშფოთა სამღვდელოების წარმომადგენლები და ორივე ამ არა მცოდნე მასწავლებლებს სიხარბე უკეცინა. ასეთი საფუძვლიანი მხილება განსაკუთრებით იწყინა მუშანია ბერმა და თერთმეტ ნოემბრის სხდომა დემონსტრატიულად მიატოვა და ხოლმსკის ოქმი შეადგენია, რომელი ოქმის ძალითაც ყოვლად სამღვდელო გიორგიმ სამღვდელოების წარმომადგენლები დროებით დაითხოვა. ამის შემდეგ ხოლმსკიმ და მისიანებმა ძალზე განიხარეს და გამარჯვებას დღესასწაულობდენ მაგრამ მათი ასეთი მხიარულება მაღალ ყოვლადუსამღვდელოესმა ეგზარხოსმა პლატონმა დაარღვია. დეპუტატებს ადგილზე დარჩენა აღუთქვა, მღვდელს რაჟდენ ხუნდაძეს გალობის მასწავლებლობა მიაკუთვნა, მხოლოდ ბ. ბერიძის ქართული ენის მასწავლებლის ადგილზე დანიშვნის შესახებ, სამწუხაროდ, კითხვა ჯერ ჯერობით გაურკვეველი დარჩა? ალბათ კარგი იქნება ქართული პრესა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს ხოლმე ქართული საქმეების აბუჩად აგდება.

მ. ბუაჩიძე.

## ვერაგულად მოკლულ

### თავ. კოწია იასონის ძე წულუკიძის ხსოვნას.

(წაკითხული მის დაკრძალვის დროს).

ვინ იფიქრებდა, რომ გუშინ—გუშინწინ სიცოცხლით სავსე ვაჟ-კაცს, დღეს შავბნელი სამარე მიისვენებდა გულზე?

ვინ იფიქრებდა, რომ კოწია, ის კოწია, რომელიც გუშინ ტკბილის ღიმილით შეესაუბრებოდა, დღეს ობლად დაგვტოვებდა და თავის ზრდილობიან სალამს სამუდამოდამოდ გამოგვასალმებდა?

მაგრამ, ქართველნო! ჩვენში შურმა და მტრობამ ვინ არ დაღუპა?!

და არა თუ ჩვენში, მთლად მსოფლიოს ზედა პირზე გაბნეულია მტრობა და შური.

პირველი მსხვერპლი ამ ღვარძლიანობისა იყო აბელი. ძმამ, კაენმა, აბელი მოჰკლა, რადგან აბელი, მას, კაენს ყველაფერში სჯობინდა.

შორს რომ არ წავიდეთ, განა თვით საქართველოს დიდება, საქართველოსთვის ათას ფერად წამებული გიორგი სააკაძე ძმათა შურმა და მტრობამ არ დაღუპა?!

განა თუ უხაროდათ მისი დიადობა, არამედ ჰშურდათ, ჩვენზე მეტი რათ არისო!..

ქართველნო! მე თქვენ გეკითხებით: თუ კი გიორგი სააკაძეში რაიმე დიდებული და ძლიერი იყო, განა ისევე ქართველთა სასიკეთოდ არ დატრიალდებოდა ეს დიდება და ძლიერება?!

მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ კაენები, იუდეები და შადიმან ბარათაშვილები არ ილევიან და მსხვერპლსა თხოულობენ.

ასეთივე მსხვერპლი ჩვენი ძვირფასი კოწია.

მართალია ეს სააკაძესავით მახვილით ხელში არ გასულა საქართველოს დასახსნელად, მაგრამ დარწმუნებულნი იყავით, თუ საჭიროება, დრო და გარემოება მოითხოვდა, გიჩვენებდათ როგორ უნდა „თავზე ლეჩაქ-მოხდილი" სამშობლოს დაცვა.

და აი, სწორედ ეს მისი დიადობა შეჰშურდა უგუნურ ადამიანს და იმსხვერპლა; დასთურგნა ბნელმა ნათელი.

რას ვიზამთ?

„თავსა ახლად ვერვინ იშობს, არ საქნელი არ იქნების"—სთქვა დიდებულმა შოთამ.

ხოლო, ქართველნო! შევეცადეთ, რომ ეს ჩვენი ძვირფასი კოწია უკანასკნელი მსხვერპლი იყოს უვიცობისა. შურს, შურისძიებით ნუ შევეგებებით.

ის თავისთავადაც მკვიდრია თუ კი სინდისის ნატამალი მაინც გააჩნია.

შევიარაღდეთ არა რევოლვერებით და დაშნა მახვილით, არამედ შეგნებით, კულტურით მეცნიერებით და ის გვიხსნის ამ გვარი უვიცობისაგან.

შენ კი, ძვირფასო ადამიანო, განისვენე ტკბილის ძილით. შენ მშვენიერებას და ზრდილობის მასწავლებელი იყავ და მიტომაც შენი სახელი შენ მეგობართ შორის მარად დაუვიწყარი იქნების.

შენ იყავ რაინდი, უშიშარი და იმავე დროს გულ მართალი და ამ შენმა გულმართლობამ წაგვართვა შენი თავი.

შენ იყავ თავადი, ღირსეული თავადის წოდებისა.

შენ იყავ კალთა თავმდაბლობისა და მიტომაც გულ-წრფელად მიგისვენებს ძუძუ სამშობლო ქვეყნისა. როცა თხუნელანი არწივობას ჩემობდნენ, შენ, არწივი, მხოლოდ მაშინა ჰშლიდი შენს გაშმაგებულ ფრთებს და აი, ორბი მაღალი ფრთიანი სულმდაბლობამდი უგნურებამ ვერაგულად დასცა ძირს.

შენ იყავ არავის მაწყინარი, სიმშვიდის ქნარი; ყველას მოყვარე. ცოლ-შვილთა მთვარე და აკი მათ ხსენებაშიც დალიე სული.

ნათელ-მზიანი სულის პატრონო, მარად ნათელ მზედ ალიბევდება შენი სახელი შენ მხლებელთა მეგობართ გულში

ბეგლარ ახოსპირელი.

## პროვინციის ცხოვრება.

**სოფ. კაცხი.** (შორაპ. მაზ.) აქ დარაჯების მოუმატეს, მაგრამ ამითი არა გამოვიდა რა. დარაჯების დაქირავების შემდეგ ცოტა-გლეჯა უფრო მოემატა

ადგილობრივ კოოპერატივს სიმინდი ბლომათ აქვს. პურის ფქვილი კი გამოელია. საქონლის შენახვა მეტად გაძნელდა. თუ იშოვეს საზღაპრო ფასებში იყიდება.

აქეთ წელს მოსავალი ცუდია. სარჩო ხალხის უმრავლესობას იანვრამდი არ ეყოფა.

თ. ა.

— **სამტრედია.** მომხმარებელი საზოგადოების „დახმარე"-ის გამგეობამ დაადგინა: მოწვეულ იქმნას კოოპერატივების წარმომადგენლები ჯიხაიშის, აიაზეთის, ხონის, დანირის, კულაშის, ტობანიერის, საჯილაოსი, ქოლობანის, აბაშის, საჯავახოს და ყველა იმ სოფლების, რომელთათვისაც სამტრედია დასამხარი იქნება ამ კოოპერატივის წარმომადგენლებმა საქონლის განმანაწილებელი პუნქტი უნდა აშოირჩიონ.

— **სოფ. ლიხაინდრაშო.** (სამეგრელო). ყანადთა თარეშმა აქ შესაფერი ნაყოფი გამოიღო. დანიშნეს მთავრობის მამასახლისი ექვსი დარაჯით. მათი შენახვა დაჯდება წელიწადში 2700 მანეთი. ყოველ თვიურად საზოგადოებამ (ონოღიის საზოგადოებას) უნდა იხადოს 225 მანეთი.

ამ დიდ გაჭირების და სიმშილის დროს ეს უშველებელი ხარჯი საზოგადოებას მეხივით დაეცა. რა ეშველება, ასიდენი ფული როგორ უნდა იშოვნონ, ამას ვინ გკითხავს. მთავრობის მამასახლისად გამოგზავნილია გიორგი შავდია. მას საზოგადოება კარგად იცნობს; იგი საზოგადოებისთვის გულშემატკივარ პიროვნებად ითვლებოდა. ამ დიდ გასაჭირში მეოიფ სოფლებს იმედი აქვთ შავდიასი, რომ იგი დახმარების ხელს გაუწვდის არსებულ კულტურულ დაწესებულებათ სკოლას, სამკითხველოს, კოოპერატივს, კრედიტის ამხანაგობას და რაიდენიმეთ მაინც საზოგადოების ტვირთს შეამსუბუქებს.

თ. ა.

**სოფ. ზემოხეთი.** (გურია) ცხოვრების სიძვირემ ეს სოფელიც გამოაფხიზლა და მომხმარებელთა საზოგადოება დაარსებინა. ამ საქმის დაგვირგვინებაში დიდი შრომა მასწავლებელს ტ. თევზაძეს მიუძღვის. მომხმარებელმა საზოგადოებამ ბევრი ხალხი შემოიკრიბა კრებამ ახალი პასუხისმგებელი ნოქარი დაიქირავა და საქმე ჯერჯერობით კარგად მიდის. კოოპერატივის ირგვლივ საჭიროა ენერგია ძირს არ დაეშვას და მხნეთ იმუშაონ.

თ. ა.

— **სახერე.** აქ დ. აბდუშელიშვილის, ვ. ვეშაპიძის, ს. გაჩეჩილაძის და პ. კანწურაშვილის მეთაურობით მარშან სცენის მოყვარეთა წრე დაარსდა. ეს წრე მართავდა წარმოდგენებს; საზოგადოებაც კმაყოფილი იყო და სათეატრო გამგეობას დიდი ნივთიერი დახმარება გაუწია. გამგეობა დიდი მადლობის ღირსია, აღმოჩნდენ სცენის მოყვარენი, რომელთაც უნდოდათ სასახსავო წარმოდგენა გაემართად, მაგრამ გამგეობამ ამის ნება არ მისცა.

თ. ა.

— **აბასთუმანი.** (ახალც. მაზრა) ვინც წრეულს საავარაკოთ აბასთუმანში იყო, მან იცის თუ რა განსხვავებაა დღევანდელ და უწინდელ აბასთუმანში. ამ მშვენიერი საავარაკო ადგილს, რომელსაც სომხობა შემოსევია, დიდი უყურადღებობა ეტყობა. ქუჩები, „სანაირნო ადგილები, წყლის რუები დიდ უწესოებაშია. წრეულს სანოვაგის დიდი სიძვირე იყო, ავათმყოფები უპურონი იყვნენ; თუ ორი სამი საათით რიგში არ ჩადგებოდი პურს ვერ იშოვიდი. აბასთუმნის უფროსი და წყლების გამგე, ექიმი არხაროვი იყო დანიშნული, რომელიც, როგორც უწესოებას, ისე სანოვაგის მოუწყობლობას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

დღეს სამხედრო ბრძანებაში ვკითხულობთ რომ იქაური სამხედრო საავადმყოფოც ასევე უწესოდ და უყურადღებოთ ყოფილა და ამისთვის ექიმი არხაროვი 30 დღის დაპატიმრებით დასჯილა და სამსახურიდან დაუთხოვია გენერალ ადიუტანტის პრინც ოლდენბურგსკის წარმომადგენელს.

მთაგარაკე.

## რუსეთი.

„რუს. სლოვოს" სიტყვით უმაღლეს მთავრობისაგან მიღებულ დირექტივების მიხედვით ა. ფ. ტერპოვმა ისეთი მინისტრთა კაბინეტი უნდა შეადგინოს, რომ მისი შემადგენლობა ერთი მიმართულებისა იყოს და სათათბიროსთან მუშაობა შესძლოს. ძველი მინისტრებისაგან ა. ფ. ტრეპოვს შესაძებლად მიაჩნია დასტოვოს მხოლოდ შუვაევი, გრიგოროვიჩი და იგნატიევი, ხოლო პროტოპოპოვს, რაევსა, შახოვსკის და ბობრინსკის თანამდებობიდან გადააყენებენ. ტრეპოვს განზრახვა აქვს თურმე სათათბიროს ყველა ფრაქციების ლიდერებთან ითათბიროს საერთო კომპრომისულ პროგრამის შესამუშავებლად.

— პროტოპოპოვმა განსახილველი საკითხების მიტევას თავი გაანება და განკარგულება გაუცია, რომ არავინ მათხოვნელთაგან და მომხსენებელთაგან არ მიიღონ. ხოლო ყველა საქმეები მინისტრის ამხანაგებს გადასცეს. სამინისტროში, კი რაღაც არა ჩვეულებრივი ამბავი ხდება: მოხელეები თითქმის სრულიად აღარ საქმობენ.

— სახ. სათათბიროს წევრს პოლონელ ლემპიცკის განუცხადებია; რადგანაც პოლონეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა, რუსეთის სათათბიროს დეპუტატობა აღარ შემიძლიაო.

— უკანასკნელ ცნობების მიხედვით ტრეპოვი „პროგრესიულ ბლოკთან" მოლაპარაკებას არ გამართავს; ბლოკი ძველი გზით წავა.

— მიმდინარე სახელმწიფო საქმეების შესახებ მოხსენების წარსადგენად სათათბიროს თავმჯდომარე მეფის ბანაკში გაემგზავრა

— ა. ფ. ტრეპოვს მუშათა საკითხის შესახებ ყველა მასალები მოუთხოვია.

— ა. ნ. უარყოფს იმ ხმებს, ვითომც მას მინისტრის პორტფელი შეაძლიეს.

— სამხედრო სამინისტრომ ბრძანება გასცა, რომ სამხედრო სამრეწველო კომიტეტებმა ყველა სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებულ მსახურთა ფოტოგრაფიული სურათი წარუდგინონ სამხედრო სამინისტროს.

— მიწათ მოქმედების თ-დ შახავსკოის თანამდებობაზე ასახელებენ სატყეო დეპარტამენტის უფროს გრუდისტონსა და არიამურის გენ-გუბერნატორს გონდატის: უკანასკნელს შინაგან მინისტრის თანამდებობაზედაც ასახელებენ.

— 20 და 21 ნოემბერს მოსკოვში სრულიად რუსეთის ჟურნალისტთა ყრილობა მოხდება: ყრილობა განიხილავს შემდეგ საკითხებს: ბეჭვდითი სიტყვის მდგომარეობა; სალიტერატურო ეთიკა; საპროფესიო ეთიკა; უკრაინის ბეჭვდითი სიტყვა; ებრაული ბეჭვდითი სიტყვა და სხვა საგაზეთო და საჟურნალო წერიმალი საკითხები.

## უცხოეთი.

„მორნინგ პოსტი"-ის აზრით გერმანიაში განზრახული შრომის ბეგარა დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს გერმანიის ვაჭართა შორის, რადგანაც [illegible] ხსენებული ზომა ძლიერ შეავიწროებს ვაჭრობას, ხოლო, [illegible] მწიფის ეკონომიური მდგომარეობაზე დიდ გავლენას მოახდენს.

— ამერიკის შეერთებულ შტატების ოქროს ფონდი ამ ჟამად 13 მილიარდსა და 180 მილიონს აღწევს. ეს სიმდიდრე მთელი ქვეყნის ოქროს ფონდის ერთ მესამედს შეადგენს. ასეთი ზღაპრული გამდიდრება ამერიკისა იმით აიხსნება, რომ მეომარი სახელმწიფოები ბევრ საქონელს უკვეთავენ მას.

— გერმანიის პოლონელთა თავისუფალ ჯარის მთავარსარდლად სტანისლავ შეპტიცკი დაუნიშნავთ.

— ახლო მომავალში ავსტრიაში მოწვეული იქნება რეიხსტრატი. ახალი იმპერატორი კარლოს I ქვედა და ზემო პალატის წევრთა წინაშე კონსტიტუციაზე დაიფიცებს.

— პოლონეთის ნაციონალურ საბჭოს წევრებათ მხოლოდ მემარჯვენეები გასულან, რადგანაც მემარცხენე პარტიებს არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განუცხადებიათ.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო"



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. — „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. „ |
| ტყიბულისკენ | დილის | — 8 ს. 13 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 „ |

**ისყიდება** ექლის ხე ათასი ძირი 15—30 წლისა, აგრეთვე მუხა, ალვის ხე და ჭადარი. სამტრედია კულაში. სახაზინო ბაღი. ვლ. მიქელაძის მამულში.

## ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულად არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა. ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაკტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**", როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლად. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში**, გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ. ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ერთგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)



... სტამბა ... კოხრეიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა